# საერთაშორისო სერტიფიცირება ფინანსების პროგრამის სტუდენტებისთვის

BTU - ში ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა კურსი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეისწავლონ, რაც საშუალებას მისცემთ მოემზადონ გამოცდისთვის, რომელიც მათ აღნიშნულ სფეროში, მსოფლიოში აღიარებულ სერტიფიკატს მოაპოვებინებს.

*(გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი გამოცდის ჩატარებას არ უზრუნველყოფს)*

სტუდენტებს აღნიშნული შესაძლებლობა ეძლევათ საბაკალავრო საფეხურის ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების მიმართულებით შეთავაზებული კურსების ფარგლებში:

- **პროექტების მართვა Agile და Scrum მეთოდოლოგიით - Agile & Scrum, Kanban;**
- **ფინანსური აღრიცხვა (ACCA- სტანდარტებით) - ACCA სტანდარტი ფინანსებში;**
- **ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები - Lean საერთაშორისო სერტიფიცირების სტანდარტები მენეჯმენტსა და პროექტების მართვაში;**
- **ბიზნეს მონაცემების დამუშავება EXCEL-ის გამოყენებით - Microsoft Office Specialist (MOS);**
- **პრაქტიკული კურსი აკადემიურ ინგლისურში (IELTS სტანდარტით) - IELTS სტანდარტი ინგლისურ ენაში;**
- **HP Life სტანდარტი მეწარმეობაში.**

აღსანიშნავია, რომ BTU-ის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ACCA პორტალზე რეგისტრაციის შემთხვევაში ჩაეთვლებათ **F1, F2 და F3** მოდულები.

გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ ავტომატური ჩათვლის უფლება მოიპოვონ F4, F5 და F6 მოდულებზე თუ BTU-ში ინგლისურ ენაზე (წინაპირობა B2 დონე) გაივლიან შემდეგ სასწავლო კურსებს:

- **Corporate and Business Law**
- **erformance Management**
- **Taxation**

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი